ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N20

05 ივნისი 2023 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დ ახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1.შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ხარაგაულის
მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის N11 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 07/02/2023 სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016492).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მეხუთე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. ინ ვიტრო განაყოფიერების თანადაფინანსება წყვილისთვის წლის განმავლობაში 4000 ლარის ფარგლებში".

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,გ" ქვეპუნქტი:
,,გ) სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობს მომეტებული საფრთხის ქვეშ და ექვემდებარება საცხოვრებელი ადგილიდან გაყვანას."

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**